თბილისელებმა სუსტად ითამაშეს

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 14 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) 0:1 (0:1).

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, პეტრიაშვილი, ებრალიძე, გავაშელი (ლ. ნოდია), მ. მაჩაიძე, ასათიანი, რეხვიაშვილი, გ. ნოდია, ყიფვიანი.

კიევი: რუდაკოვი, დოცენკო, ფომენკო, მატვიენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი (დამინი), პუზაჩი, კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

მსაჯი: ტ. ბახრამოვი (ბაქო).

14 აპრილს ღამით, როცა ჯერ კიდევ არ გვქონდა დამცხრალი წაგებული თამაშით გამოწვეული ემოციები, ცენტრალურმა ტელევიზიამ ორჯერ აჩვენა კიეველთა მიერ თბილისის “დინამოს” კარში გატანილი გოლი: პირველად – საინფორმაციო პროგრამა “ვრემიაში”, ხოლო მეორედ – მატჩის მეორე ტაიმის რეტრანსლაციის წინ. ამდენად, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ეს საბედისწერო გოლი დეტალურად გვაქვს გაანალიზებული და რაც მატჩის დროს წამიერად ვნახეთ, შემდეგ “დოკუმენტურად” შევამოწმეთ ჭადრაკში გადადებული პარტიის მსგავსად.

შეიძლება ზოგიერთმა ასეთ გოლს შემთხვევითი უწოდოს, ასეთი კლასიფიკაციაც არსებობს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, შემთხვევითობის ელემენტი აქ არაფერი მოსატანია. უბრალოდ, საქმე გვაქვს დაცვისა და მეკარის მიუტევებელ, უხეშ შეცდომასთან, რომლებმაც სრულიად პრიმიტიულ სიტუაციაში ვერ შეძლეს კიეველთა შეტევის მოგერიება და საშუალება მისცეს მათ აეღოთ კარი, როცა სულ იოლად შეიძლებოდა ხიფათის თავიდან აცილება.

– როგორ მოხდა ეს?

– მიმდინარეობდა მე–7 წუთი. სტუმრებმა მინდვრის შუაგულში გაითამაშეს საჯარიმო. მატვიენკო დაიძრა წინ და მარცხენა მხრიდან შორეულ ძელთან მიაწოდა ბურთი. გოგიას შეეძლო გამოსულიყო კარიდან და გუნდი ეხსნა. მან ეს არ გააკეთა. ბურთის მოგერიება შეეძლო ებრალიძესაც, რომელიც ვალდებული იყო პირველს ეთამაშა და არც ის მოიქცა ასე. იქვე მახლობლად იყვნენ ჩვენი გუნდის სხვა მცველებიც, რომლებმაც აგრეთვე პასიურობა გამოიჩინეს. ამასობაში წინ გამოვარდა პუზაჩი, თავით დაუგდო ბურთი ბლოხინს, ამ უკანასკნელმა კი ხეირიანად დარტყმაც ვერ მოასწრო. იგი სირბილის დროს დაეტაკა ბურთს, რომელიც საკმაოდ ნელა გაგორდა კარისკენ. აი, ამ მგორავ ბურთს გოგიამ გვიან მიაქცია ყურადღება, შემდეგ ნახტომის ნაცვლად გამოეკიდა მას და მიუსწრო უკვე… ბადეში.

შეიძლებოდა კარის გადარჩენა? რასაკვირველია, შეიძლებოდა. კიდევ მეტიც – ასეთი ბურთის გაშვება დანაშაულია და თბილისის “დინამოს” დაცვისა და მეკარის ეს კომპლექსური შეცდომა ძვირად დაუჯდა გუნდს – წაგების ფასად.

მაგრამ ერთი შეცდომა, თუნდაც ასეთი უხეში, ხომ არ წყვეტს მატჩის ბედს და არ განსაზღვრავს გუნდის სახეს. ეს ამბავი მოხდა თამაშის დასაწყისში და მის გამოსასწორებლად თბილისელებს დრო საკმარისზე მეტი ჰქონდათ. წინ იყო თითქმის მთელი მატჩი, 83 წუთი, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჩვენმა გუნდმა ეს ვერ შეძლო, ვინაიდან ძალიან სუსტად ითამაშა, უსისტემოდ, ქაოსურად. არ ჩანდა

ორგანიზებულობა, კომბინაციური მოქმედება, არ ჩანდა გეგმა, რომლის შესრულება მდგომარეობას იხსნიდა.

მართალია, თბილისის "დინამო" ჩემპიონატის სტარტზე შესუსტებული შემადგენლობით გამოდის, ტრავმის გამო მწყობრში არ არიან არა ისეთი მოთამაშეები, რომელთა შეცვლა შეიძლება დაახლოებით თანაბარი სიძლიერის დუბლიორებით, არამედ წამყვანი ფეხბურთელები – ხურცილავა, გუცაევი, ხინჩაგაშვილი. ეს დიდი ძალაა, მაგრამ ის, ვინც მინდორზე გამოდის, ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს გუნდის წარმატებისთვის, იბრძოლოს თავისი მონაცემების მაქსიმუმის ფარგლებში. ეს კი, როგორც ხედავთ, არ ხდება.

ვის უნდა დავაბრალოთ 14 აპრილის მატჩში განცდილი მარცხი? პირველ ყოვლისა, თავდამსხმელებს. პირველ ტაიმში კარგად ითამაშა ყიფიანმა. იგი ხშირად იგებდა ინდივიდუალურ ბრძოლას, არ იფარგლებოდა მცირე ტერიტორიით, მაგრამ მარტო ყიფიანს რა უნდა ექნა, როცა მისი პარტნიორები გ. ნოდია და რეხვიაშვილი სრულ უმოქმედობას იჩენდნენ თავიდანვე, არ მოძრაობდნენ, არ იხსნებოდნენ ბურთის მისაღებად, კარგავდნენ მათთვის განკუთვნილ ყველა გადაცემას. რეხვიაშვილს შეეძლო თავი გამოეჩინა, როცა ასათიანმა იგი მარტოდმარტო გაიყვანა კიეველთა კარის წინ და მაშინაც უზუსტოდ დაარტყა.

ორი ფორვარდით შეტევის ხაზზე თანამედროვე ფეხბურთში ახლა ბევრი თამაშობს. შორს წასვლა რად გვინდა, როცა კიეველებმაც ორი თავდამსხმელი გამოიყვანეს წინ და ამ ორს – ბლოხინსა და პუზაჩს გამუდმებით დაძაბული ჰყავდათ მოპირდაპირე დაცვა. ბლოხინიც და პუზაჩიც განუწყვეტლივ მოძრაობდნენ, ეძებდნენ თავისუფალ ადგილს, გეგმიან კონტაქტში იყვნენ ნახევარმცველებთან, იშვიათად, მხოლოდ მეტოქესთან შეტაკებაში თუ კარგავდნენ ბურთს. გავიხსენოთ თუნდაც ის მომენტი, როცა მათი კომბინაციის შემდეგ მუნტიანი ერთი–ერთზე დარჩა გოგიასთან და ამ უკანასკნელმა აშკარა გოლს გადაარჩინა კარი.

რეხვიაშვილი და გ. ნოდია, არც ჩანდნენ ამ თამაშში. ორივე მოემწყვდა კიეველთა მცველებს შორის, ბურთი იქ თითქმის არ აღწევდა, ფართო მანევრი კი არც ერთ მათგანს არ შეუსრულებია. ჩვენ ვიცით, რომ რეხვიაშვილმა იცის ძლიერი, მოულოდნელი დარტყმა კარში, მაგრამ საამისო მომენტი რომ იგდო ხელთ, განუწყვეტლივ უნდა იმოძრაო, ეძიო გზა მეტოქის კარისკენ, შექმნა შესაფერისი შესაძლებლობა. რეხვიაშვილს კი ამისთვის მთელ თამაშში არაფერი გაუკეთებია, რის გამოც, ალბათ, დიდი მადლობა დაიმსახურა რუდაკოვისგან. რაც შეხება გ. ნოდიას, ამ გამოცდილ, მრავლისმნახველ ფეხბურთელს, უბრალოდ, არ ეპატიება ასეთი პასიური თამაში. ვერც ლ. ნოდიამ შეძლო რაიმე სიცოცხლის შეტანა შეტევაში.

კარგა ხანს ეცადნენ ჩვენი ნახევარმცველები მოეძებნათ საერთო ენა თავდამსხმელებთან, მერე, როცა ასეთი ურთიერთობის დამყარება არარეალურ ამბად იქცა გ. ნოდიას და რეხვიაშვილის სრული ინერტულობის გამო, შუა მინდორში ბურთის ტარებას შეუდგნენ, შუა მინდორში კი კიეველებს ვერ მოუგეს: ისინი ამ ზონაში გაძლიერებული ძალებით მოქმედებენ და, ამას გარდა, თითოეული მათგანი გაცილებით მეტს მოძრაობს, მეტს იბრძვის, უფრო სასარგებლო სამუშაოს ასრულებს, ვიდრე ჩვენები.

ყველაფერი ეს მით უფრო სავალალოა, რომ არც კიევის "დინამო" ბრწყინავდა მაინცდამაინც. იგი გაცილებით სუსტად გამოიყურებოდა, ვიდრე ბოლო წლებში

გვინახავს, მაგრამ კოლექტიურმა ურთიერთდაზღვევამ, დიდმა შრომისუნარიანობამ მათ გაუიოლა საერთო ამოცანის შესრულება. როცა მეტოქე სრული დატვირთვით არ იბრძვის, ამოცანის შესრულება ძნელი არ არის.

კიეველები ტყუილუბრალოდ არ კარგავენ ბურთს, თბილისელები კი სრულიად მარტივ ვითარებაშიც კი ძალიან ხშირად უზუსტოდ აწვდიან ერთმანეთს, მოწინააღმდეგეს უგდებენ ბურთს ხელში და მერე უკიდურესად გართულებულ მდგომარეობაში უხდებათ მისი უკან დაბრუნება. უზუსტობა გადაცემისას ჩვენი გუნდის ერთ–ერთი მთავარი ნაკლია.

თბილისელმა ფეხბურთელებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ იოლი მატჩი უმაღლეს ლიგაში მათ არ ექნებათ. საკუთარ მინდორზეც და სტუმრადაც, ჩემპიონთანაც და დებიუტანტთანაც საჭიროა ბრძოლა, თავგამოდებული ბრძოლა, მოძრაობა, დიდი დატვირთვით თამაში, დაზღვევა, აქტიურობა ყოველი გადაცემისთვის, ყოველი ბურთისათვის, მაქსიმალური შეუპოვრობის გამოჩენა… წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველნაირი სქემა და გეგმა ფუჭი გამოდგება და კიეველებთან განცდილი მარცხიც მხოლობითს რიცხვში არ დარჩება.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 17 აპრილი, 1973 წ.